

ამოცანა 1.

ამოხსნა:

ა)

დანახარჯების ელემენტი	საფუძველი (\$000)	მექანიკური (\$000)	სამწყობო (\$000)	საბოლოო დამუშავ. (\$000)	ტექნოსასხურების (\$000)	მთლიანი (\$000)
არაპირდაპირი ხელფასი	მიკუთვ.	10	6	8	30	54
არაპირდაპირი მასალა	მიკუთვ.	15	4	8	20	47
ელექტრო-ენერგია	მანქანასთ	80	10	12	—	102
განათება და გათბობა	ფართობი	5	2	1.50	1.50	10
ცვეთა	აქტივების სლ	4	1.60	0.60	0.80	7
საიჯ. ქირა და კომუნ. გადას.	ფართობი	12.50	5	3.75	3.75	25
პერსონალი	თანამშრ. რაოდენ.	<u>18</u>	<u>12</u>	<u>24</u>	<u>9</u>	<u>63</u>
		144.50	40.60	57.85	65.05	308
ტექნომს. განაწ.(6:2:2)		<u>39.03</u>	<u>13.01</u>	<u>13.01</u>	<u>(65.05)</u>	—
		<u>(i)</u> <u>183.53</u>	<u>(ii)</u> <u>53.61</u>	<u>(iii)</u> <u>70.86</u>	<u>ნული</u>	<u>308</u>

(ბ) თითოეული ქვედანაყოფის კაცსაათებისა და მანქანასაათების შედარებიდან ჩანს, რომ მექანიკური საამქრო მანქანატევალია, ხოლო სხვა ქვედანაყოფები – შრომატევალი.

შთანთქმის განაკვეთები

(i) მექანიკური საამქრო – განაკვეთი ერთ მანქანასაათზე

$$\frac{\text{ზედნაღები დანახარჯი}}{\text{მანქანასაათები}} = \frac{\$183,530}{40,000} = \$4.58825 \text{ ყოველ მანქანასაათზე}$$

(ii) სამწყობო საამქრო – განაკვეთი ერთი კაცსაათზე

$$\frac{\text{ზედნაღები დანახარჯი}}{\text{კაცსაათები}} = \frac{\$53,610}{8,000} = \$6.70125 \text{ ყოველ კაცსაათზე}$$

(iii) საბოლოო დამუშავების საამქრო – განაკვეთი ერთი კაცსაათზე

$$\frac{\text{ზედნაღები დანახარჯი}}{\text{კაცსაათები}} = \frac{\$70,860}{16,000} = \$4.42875 \text{ ყოველ კაცსაათზე}$$

(გ) შთანთქმული ზედნაღები ხარჯები = $39,000 \times \$4.58825 = \$178,942$
 გაწეული ზედნაღები ხარჯები = $\$128,000$
 შთანთქმის სიჭარბე = $\$50,942$

ამოცანა 2.

ამოხსნა

- (ა) ერთეულის ზღვრული მოგება = $\$ (100-56) = \44 ;
ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი =
$$\frac{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}}{\text{ერთეულის სარეალიზაციო ფასი}} = \frac{\$ 44}{100} = 0.44 (44\%).$$
- (ბ) წაუგებლობის წერტილი გაყიდული ერთეულებით გამოსახული =
$$\frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}} = \frac{\$ 220,000}{\$44} = 5,000 \text{ ერთეული.}$$
- (გ) წაუგებლობის წერტილი ამონაგებით გამოსახული =
$$\frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ზღვრული მოგების რეალიზაცია სთან ფარდობის კოეფიციენტი}} =$$

$$= \frac{\$ 220,000}{0.44} = \$500,000.$$
- (დ) რეალიზაციის ერთეულების რაოდენობა, რომელიც საჭიროა მიზნობრივი მოგების მისაღწევად =
$$\frac{\text{მუდმივი დანახარჯები} + \text{საჭირო მოგება}}{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}} = \frac{\$ (220,000 + 550,000)}{\$44} = 17,500 \text{ ერთეული.}$$
- (ე) უსაფრთხოების შუალედი (გამოსახული, როგორც გეგმური რეალიზაციის მიმართ პროცენტი) =
$$\frac{\text{გეგმური რეალიზაცია} - \text{წაუგებლობის რეალიზაცია}}{\text{გეგმური რეალიზაცია}} \times 100\% =$$

$$= \frac{7,500 - 5,000}{7,500} \times 100\% = 33.33\%$$

ამოცანა 3.

ამოხსნა

შენიშვნები:

1. რადგან ქვეკონტრაქტორებს შორის დანახარჯები განსხვავებულია, ამიტომ რელევანტური დანახარჯი არის უმცირეს-დანახარჯიანი ალტერნატივა- 31,300 ლარი.
2. დამატებით ხარჯს წარმოადგენს მხოლოდ პრემიებს შორის განსხვავება, რომელიც წარმოიშობა სპეციალური შეკვეთიდან. რელევანტური დანახარჯი არის გადასახდელ 3,500 ლარსა და დაზოგილ 2,500 ლარს შორის სხვაობა 1,000 ლარი.
3. მხოლოდ ნაზრდი დანახარჯებია(1,000 ლარი) რელევანტური. საერთო ზედნადები დანახარჯები არ არის ნამეტი და აქედან გამომდინარე, არ არის რელევანტური.
4. დამატებითი დანახარჯები მანქანების შეკეთებაზე (500 ლარი) რელევანტურია, რადგან ისინი დამატებითი ფულადი დანახარჯებია.
5. რელევანტური დანახარჯები დამატებით გასაწევი ცვლადი ზედნადები დანახარჯებია 3 ლარი 6,000 საათში პლუს დაკარგული ზღვრული მოგება 2 ლარი 2,000 საათში სულ 22,000 ლარი.
6. ვინაიდან ნედლეული აღარ გამოიყენება, ჩანაცვლების ღირებულება არა რელევანტურია. პირვანდელი ღირებულება შეუქცევადი დანახარჯია. რელევანტური დანახარჯია გაყიდვის ხელიდან გაშვებული ღირებულება, რაც შეადგენს 7,500 კგ-ზე @4.2ლარი/კგ ანუ 31,500 ლარი.

რელევანტური დანახარჯები სპეციალური შეკვეთისათვის

	შენიშვნა	ლარი
დანახარჯები ქვეკონტრაქტორზე	1	31,300
ზედამხედველობის დანახარჯი	2	1,000
საერთო ხედნადები დანახარჯები	3	1,000
მანქანების შეკეთება	4	500
სამანქანო ზედნადები დანახარჯი	5	22,000
ნედლეული	6	<u>31,500</u>
ჯამური რელევანტური დანახარჯი		87,300

შეფასების სქემა:

დანახარჯები ქვეკონტრაქტორზე - 1 ქულა

ზედამხედველობის დანახარჯი - 2 ქულა

საერთო ხედნადები დანახარჯები - 2 ქულა

მანქანების შეკეთება - 1 ქულა

სამანქანო ზედნადები დანახარჯი - 2 ქულა

ნედლეული - 2 ქულა

ამოცანა 4.

ამოსხნა

ა)

000 ლიტრი

მე-2 პროცესში გამოყენებული მასალა	210
ნორმატიული დანაკარგი $210 \cdot 10\%$	21
ნორმატიული გამოსავლიანობა $210 - 21 =$	189
მე-2 პროცესის ფაქტობრივი გამოსავლიანობა	195
ზენორმატიული გამოსავლიანობა $195 - 189 =$	6

1) ნორმატიული დანაკარგის სარეალიზაციო ღირებულება (ათასი ლარი)
 $= 21 \cdot 0.1 = 2.1$

2)

000 ლარი

1-ლი პროცესიდან გადმოტანილი მასალა	62.50
მე-2 პროცესში დამატებული მასალა	<u>103.75</u>
	166.25

მე-2 პროცესის წმინდა დანახარჯი მასალაზე =
 $(166.25 - 2.1) / 189 = 164.15 / 189 = 0.8685$

3) მე-2 პროცესის გადამუშავების დანახარჯი $= 8.50 / 189 = 0.0450$
 მთლიანი დანახარჯი $= 0.8685 + 0.0450 = 0.9135$

ბ)

000 ლარი

ზენორმატიული გამოსავლიანობის ღირებულება $= 6 \cdot 0.9135$	5.48
ზენორმატიული გამოსავლიანობის ალტერნატიული ღირებულება $= 6 \cdot 0.1$	<u>(0.6)</u>
ზენორმატიული გამოსავლიანობის წმინდა ღირებულება	4.88

გ) მზა პროდუქციის ღირებულება $= 195 \cdot 0.9135 = 178.13$

მე-2 პროცესის ანგარიში

	ათასი ლიტრი	ათასი ლარი		ათასი ლიტრი	ათასი ლარი
1-ლი პროცესის მასალა	125	62.50	ნორმატიული დანაკარგი	21	2.1
2-ლი პროცესის მასალა	85	103.75			
მე-2 პროცესის შრომა		8.50	მზა პროდუქცია	195	178.13
ზენორმატიული გამოსავლიანობა	6	5.48			
	<u>216</u>	<u>180.23</u>		<u>216</u>	<u>180.23</u>

ამოცანა 5.

ამოსხნა

1. საბიუჯეტო სიმძლავრე = $(3/4 * 80\% * 160\ 000) + (1/4 * 60\% * 160\ 000) = 120\ 000$ კილომეტრს.

საბიუჯეტო სიმძლავრეზე დაფუძნებული ცვლადი დანახარჯი	
სარეზერვო სათადარიგო ნაწილი: $\$100 * (120000/1000)$	12 000
საწვავი $\$0,4 * (120000/4)$	<u>12 000</u>
	24 000

წლიური მუდმივი დანახარჯი (ადმინისტრაციის გამოკლებით)	
სატრანსპორტო საშუალების ცვეთა: $\$ 4000 * 4$	16 000
ძირითადი ექსპლოატაცია: $\$ 110 * 4 * (12/6)$	880
სატრ. საშუალებების ლიცენზირება : $4 * 140$	560
სატრ. საშუალებების დაზღვევა : $4 * 450$	1 800
საბურავების გამოცვლა: $(6 * 90) * (120000/40000)$	1 620
მძღოლები: $4 * 8000$	<u>32 000</u>
	52 860

ცვლადი დანახარჯი კილომეტრზე = $24\ 000 / 120\ 000 = 0,20$
მუდმივი დანახარჯი კილომეტრზე = $52860 / 120000 = 0,4405$

შეკვეთის დანახარჯი 100 კილომეტრზე

ცვლადი დანახარჯი : $100 * 0,20$	20,00
მუდმივი დანახარჯი : $100 * 0,4405$	<u>44,05</u>
მთლიანი დანახარჯი (ძირითადი ადმინისტრაციის გამოკლებით)	64,05
საერთო ადმინისტრაცია (+25%)	<u>16,013</u>
მთლიანი დანახარჯი	<u>80,063</u>

ამოცანა 6.

ამოხსნა

1.

საბიუჯეტო წარმოების მოცულობა	8 000
ფაქტობრივი წარმოების მოცულობა	8 400
მოცულობის გადახრა	400 (ბ)
შთანთქმის განაკვეთი = $(6750+3250)/8000= 1,25$	
მუდმივი ზედნადები დანახარჯის მოცულობის გადახრა	$400*1,25= \$ 500(ბ)$

2.

საბიუჯეტო მუდმივი ზედნადები დანახარჯი $6750+3250$	10 000
ფაქტობრივი მუდმივი ზედნადები დანახარჯი $6400+3315$	<u>9 715</u>
მუდმივი ზედნადები დანახარჯის ღირებულების გადახრა	285 (ბ)

3.

8 000 ნორმატიული საათის საბიუჯეტო ცვლადი ზედნადები დანახარჯი	\$28 000
ცვლადი ზ. დ. შთანთქმის განაკვეთი $28000/8000= \$ 3,5$	
ფაქტობრივი ცვლადი ზედნადები დანახარჯი $(20140+5960+4480)=$	30 580
ცვლადი ზედნადები დანახარჯი	
8400 საათის ღირებულება *3,5	29 400
ფაქტობრივი ცვლადი ზედნადები დანახარჯი	<u>30 580</u>
ცვლადი ზედნადები დანახარჯის გადახრა	1 180 (ა)

ამოცანა 7.

ამოხსნა

1. წარმოების ბიუჯეტი

	A	B
რეალიზაცია	2 000	1 500
საწყისი მარაგი	(100)	(200)
საბოლოო მარაგი	<u>200</u>	<u>150</u>
წარმოება	2 100	1 450

2. მასალის გამოყენების ბიუჯეტი

	X	Y
A პროდუქტი 2100*2	4 200 (2100*1)	2 100
B პროდუქტი 1450*3	<u>4 350</u> (1450*4)	<u>5 800</u>
მასალის გამოყენება	8 550	7 900

3. მასალის შესყიდვის ბიუჯეტი

	X	Y
საბიუჯეტო მოხმარება	8 550	7 900
საწყისი მარაგი	(300)	(1 000)
საბოლოო მარაგი	<u>850</u>	<u>800</u>
შესყიდვა	9 100	7 700
კილოგრამის ღირებულება	\$10	\$7
მასალის შესყიდვა \$-ში	91 000	53 900

X საბოლოო მარაგი $(2000*2+1500*3) * 10\% = 850$ კგ

Y საბოლოო მარაგი $(2000*1+1500*4) * 10\% = 800$ კგ

4. შრომითი დანახარჯის ბიუჯეტი

	კვალიფიც.	არაკვალიფიც.
A პროდუქტი 2100*4	8 400 (2100*2)	4 200
B პროდუქტი 1450*2	<u>2 900</u> (1450*5)	<u>7 250</u>
საბიუჯეტო დრო	11 300	11 450
საათის ღირებულება	\$12	\$ 8
შრომის ბიუჯეტი	\$ 135 600	\$91 600

ამოცანა 8.

ამოხსნა

1.		ძირითადი	დამხმარე	
	ნორმატიული საათები	(12*37) 444	(3*37) 111	
	ზენორმატიული საათები	(488-444) 44	(121-111) 10	
	ძირითადი განაკვეთით ანაზღ. დრო	(488*7,5) 3 660	(121*6) 726	
	ზენორმატიული დროის პრემია	(44*2,5) <u>110</u>	(10*2) <u>20</u>	
		3 770	746	
2.		პირდაპირი	არაპირდაპირი	
	ძირითადი მუშახელი:			
	ძირით. განაკვეთით ანაზღ. დრო	(432*7,5) 3 240	(56*7,5) 420	
	ზენორმატიული დროის პრემია		110	
	დამხმარე მუშახელი:			
	ძირით. განაკვეთით ანაზღ. დრო		726	
	ზენორმატიული დროის პრემია		20	
	ჯგუფური პრემია		<u>520</u>	
		3 240	1 796	

ამოცანა 9.

ამოხსნა

პირველ რიგში, გავიანგარიშოთ ზედნაღები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი (ზხშგ).

$$\text{ზხშგ} = \frac{\text{საწარმოო ზედნაღები ხარჯები}}{\text{საქმიანობის ღონე}} = \frac{\$80,000}{\text{(უნდა მოხდეს მისი არჩევა)}}$$

საქმიანობის ღონე საწარმოს საქმიანობის შესაბამისად უნდა განისაზღვროს. „სატურნმა“ უნდა მოახდინოს საქმიანობის შემდეგი სამი ღონიდან ერთ-ერთის არჩევა:

წარმოებული პროდუქციის ერთეულები – მისი გამოყენება, ჩვენს შემთხვევაში, არ იქნება მისაღები, რადგან „სატურნი“ აწარმოებს ერთზე მეტი სახის პროდუქციას და სამართლიანი არ იქნება, თუ სამივე სახის პროდუქციაზე გავანაწილებთ ერთი და იმავე მოცულობის ზედნაღებს ხარჯებს. მანქანასაათები ან კაცსაათები – სამართლიანი იქნება, თუ საწარმოო ზედნაღებს ხარჯებს გავანაწილებთ, პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დახარჯული მანქანასაათებისა და კაცსაათების მიხედვით. ამ შემთხვევაში უნდა გადავწყვიტოთ, რომელი იქნება უფრო მისაღები, მანქანასაათების, თუ კაცსაათების გამოყენება. ამისათვის შეგვიძლია განვიხილოთ და გავითვალისწინოთ წარმოების პროცესის ხასიათი. უფრო სწორი იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ პროდუქციის წარმოება დაფუძნებულია უფრო მანქანურ შრომაზე, ვიდრე ადამიანურ შრომაზე, რადგან თითოეული ერთეულის წარმოება საჭიროებს უფრო მეტ მანქანასაათს, ვიდრე კაცსაათს. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, საქმიანობის უფრო მისაღები ღონეა მანქანასაათი.

$$\$80,000 \text{ (საწარმოო ზედნაღები ხარჯები)}$$

$$\text{ზხშგ} = \frac{(0.01 \times 500,000) + (0.04 \times 150,000) + (0.02 \times 250,000) \text{ საათი}}{16,000 \text{ საათი}} = \frac{\$80,000}{16,000 \text{ საათი}} = \$5 \text{ თითოეული მანქანასაათისთვის}$$

	„სქაი ბარი“,\$	„მუნ ეგი“,\$	„მუნ ბარი“ \$
საწარმოო ზედნაღები ხარჯები (\$) = მანქანასაათები პროდუქციის ერთეულზე × \$5	0.05	0.20	0.10
პირდაპირი შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე	0.07	0.14	0.12
პირდაპირი მასალის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე	0.17	0.19	0.16
საწარმოო ზედნაღები ხარჯები პროდუქციის ერთეულზე	<u>0.05</u>	<u>0.20</u>	<u>0.10</u>
მთლიანი საწარმოო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე	0.29	0.53	0.38
პროდუქციის ერთეულის სარეალიზაციო ფასი	<u>0.50</u>	<u>0.45</u>	<u>0.43</u>
მოგება/ზარალი პროდუქციის ერთეულზე	0.21	(0.08)	0.05

ამოცანა 10.

ამოხსნა

(ა) ზღვრული მოგება ერთეულზე = $\$25 - \$20 = \$5$ ერთეულზე

$$\text{წაუგებლობის წერტილი ერთეულებით გამოსახული} = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}}$$

$$\text{წაუგებლობის წერტილი} = \$50,000 \div \$5 = 10,000 \text{ ერთეული}$$

(ბ) მიზნობრივი მოგების მიღებისათვის საჭირო საქმიანობის დონე =

$$\frac{\text{მიზნობრივი მოგება} + \text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}}$$

$$\text{ერთეულების რაოდენობა} = (\$40,000 + \$50,000) \div \$5 = 18,000 \text{ ერთეული}$$

(გ) უსაფრთხოების შუალედი = $13,000 - 10,000 = 3,000$ ერთეული

$$\text{ამონაგებით გამოსახული} = 3,000 \times \$25 = \$75,000$$

$$\text{პროცენტის სახით} = 3,000/13,000 \times 100\% = 23.1\%$$

(დ) ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი = $\frac{\text{ზღვრული მოგება}}{\text{რეალიზაცია}}$

$$\text{ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი} = \frac{\$5}{\$25} = 20\%$$

(ე) ფორმულა წაუგებლობის წერტილი ამონაგებით გამოსახული =

$$\frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი}}$$

$$\text{წაუგებლობის წერტილი (დოლარში გამოსახული)} = \$50,000 \div 0.20 = \$250,000$$

(ვ) მიზნობრივი მოგების მისაღებად საჭირო რეალიზაცია =

$$\frac{\text{მიზნობრივი მოგება} + \text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი}} = (\$40,000 + \$50,000) \div 0.20 = \$450,000$$

ამოცანა 11.

ამოხსნა

(i) შეკვეთის ეკონომიური მოცულობა = $(2 \times 6 \times 60,000/0.5)^{0.5} = 1,200$ ერთეული
შეკვეთების რაოდენობა = $60,000/1,200 = 50$ შეკვეთა წლის მანძილზე
შეკვეთის წლიური დანახარჯი = $50 \times 6 = \$300$ წელიწადში
მარაგის საშუალო დონე = $1,200/2 = 600$ ერთეული
შენახვის წლიური დანახარჯი = $600 \times 0.5 = \$300$ წელიწადში
ნედლეულის ღირებულება = $60,000 \times 12 = \$720,000$
ნედლეულის მთლიანი დანახარჯი შეკვეთის ეკონომიურ მოცულობაზე დაყრდნობით =
 $720,000 + 300 + 300 = \$720,600$ წელიწადში

(ii) შეკვეთის მოცულობა (პარტიებად შეძენის ფასდათმობისას) = 10,000 ერთეული
შეკვეთის რაოდენობა = $60,000/10,000 = 6$ შეკვეთა წელიწადში
შეკვეთის წლიური დანახარჯი = $6 \times 6 = \$36$
მარაგის საშუალო დონე = $10,000/2 = 5,000$ ერთეული
შენახვის წლიური დანახარჯი = $5000 \times 2 = \$10,000$ წელიწადში
ნედლეულის შემცირებული ფასი = $12 \times 0.99 = \$11.88$ ერთეულზე
ნედლეულის ღირებულება = $60,000 \times 11.88 = \$712,800$
მარაგის მთლიანი დანახარჯი, ფასდათმობის შემთხვევაში =
 $= 712,800 + 36 + 10,000 = \$722,836$ წელიწადში

შეკვეთის ეკონომიური მოცულობის გამოყენებისას დანახარჯები უმნიშვნელოდ მცირეა.

ამოცანა 12.

ამოხსნა

	<i>პროდუქტი</i>				
	A	B	C	D	<i>სულ</i>
ზღვრული მოგება £/ერთეული	46.00	55.00	61.00	54.00	
საათები/ერთეული	3.00	2.50	4.00	4.50	
ზღვრული მოგება/საათი	15.33	22.00	15.25	12.00	
რანჟირება	მეორე	პირველი	მესამე	მეოთხე	
უნდა ვაწარმოოთ თითოეული პროდუქტის 20 ლიტრი, რომელიც მოიხმარს (საათები)	60	50	80	90	280
საათების ბალანსი გადანაწილებულია რანჟირების მიხედვით, ექვემდებარება მოთხოვნის მაქსიმალურ დონეს პირველ რიგში B პროდუქტი (150 – 20) = 130 ლიტრი		325 საათი			325

					605
შემდეგ A პროდუქტი (200 – 20) = 180 ლიტრი		540 საათი			540

					1,145
შემდეგ C პროდუქტი (100 – 20) = 80 ლიტრი, მაგრამ ჩვენ გვრჩება დრო მხოლოდ 200/4 = 50 ლიტრისათვის			200 საათი		200

					<u>1,345</u>

ამრიგად, წარმოების გეგმა ასეთია:

- A 200 ლიტრი
- B 150 ლიტრი
- C 70 ლიტრი
- D 20 ლიტრი

ზღვრული მოგება არის:

	£
A 200 ლიტრი × £46	9,200
B 150 ლიტრი × £55	8,250
C 70 ლიტრი × £61	4,270
D 20 ლიტრი × £54	1,080

	22,800

მინუს: მუდმივი ზედნადები დანახარჯი
(1,600 საათი × £8)

12,800

მოგება

10,000

შენიშვნა: მუდმივი ზედნადები დანახარჯების საათობრივი განაკვეთი გაანგარიშებულია პროდუქტის დანახარჯებიდან (მაგ. A პროდუქტისათვის: 24£/3სთ= £8 საათში)

ამოცანა 13.

ამოხსნა

ა)

$$\text{წლის ბოლოს თანამშრომელთა რაოდენობა} = 100 - 20 - 10 + 16 = 86$$

$$\text{თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდენობა} = (100 + 86) / 2 = 93$$

$$\text{დენადობის კოეფიციენტი} = 16 / 93 * 100 = 17,2\%$$

ბ)

$$\text{სამუშაო ძალის გამოყენების კოეფიციენტი} = 3900 / 5000 * 100 = 78\%$$

გ)

$$\text{შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტი} = 8000 * 0,5 / 3900 * 100 = 102,56\%$$

დ)

$$\text{შრომის ეფექტიანობის კოეფიციენტი} = 8000 * 0,5 / 5000 * 100 = 80\%$$

ე)

პრემია როვნის სქემით = დახარჯული დრო/დასაშვები დრო* დროითი განაკვეთი* დაზოგილი დრო

$$3900 / (8000 * 0,5) * 5 * (4000 - 3900) = 487,5$$

ამოცანა 14.

ამოხსნა

ამოხსნა:

ა) მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯის შთანთქმის განაკვეთი = $92000/20000=4,6\$/ერთ$

	\$
შემოსავალი რეალიზაციიდან $(22000*14)$	308 000
რეალიზებული პროდუქციის თ/დ $(22000*11)$	<u>(242 000)</u>
	66 000
ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბე $(22 000 - 21 000)*4,6$	<u>4 600</u>
საერთო მოგება	70 600
ცვლადის რეალიზაციის დანახარჯი $(22 000*2)$	(44 000)
მუდმივი რეალიზაციის დანახარჯი	<u>(12 000)</u>
წმინდა მოგება	14 600

ბ)

მე-2 პერიოდის საწყისი ნაშთი $18 000 - 15 000 = 3 000$ ერთეული

მე-2 პერიოდის საბოლოო ნაშთი $3 000 + 21 000 - 22 000 = 2 000$ ერთეული

ნაშთის შემცირება $1 000$ ერთეული * $4,6 = 4 600$ მოგების სხვაობა

დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება	\$14 600
მარაგის შემცირებასთან დაკავშირებული მუდმივი დანახარჯი	<u>\$4 600</u>
დანახარჯთა ზღვრული კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი მოგება	\$19 200

გ)

1-ი პერიოდის მარაგის ზრდა $3 000$ ერთ.

საერთო მოგება დაანგარიშებული სრული დანახარჯთა კალკულაციით	\$35 800
მარაგის ზრდასთან დაკავშირებული მუდმივი დანახარჯი $(3000*4,6)$	<u>\$13 800</u>
საერთო მოგება დანახარჯთა ზღვრული კალკულაციით	\$22 000